

## წინასწარი გამოძიება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ციალა რატიანი ადვოკატი

### **ანოტაცია**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ხელს უწყობს სისხლის სამართლის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფას. როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამუშებენ სისხლის სამართლის პროცესს, წარმოიშვება პრობლემები, რომელთა რეგულირება რთულია მოქმედი კანონმდებლობით.

გამომძიებელს ხშირად უჭირს გადაწყვეტილების მიღება, თუ რა ინფორმაცია და რა ფორმით მიაწოდოს საზოგადოებას. გამომძიებელს აქვს უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოვიდეს და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ის იძიებს და ეს არაფრით არ ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, ვინაიდან მისი დასკვნები გამოხატავენ მხოლოდ წინასწარი გამოძიების აზრს, რაც არაფრით არ უტოლდება სასამართლოს განაჩენს.

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობები არ გამოიყენება მთლიანად, სამართალდამცავი ორგანოები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ მოქმედებენ კორდინირებულად. ხშირად არ ხდება ასეთი დიალოგის სათანადო შეფასება, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოყენების დადებითი ასპექტის გაანალიზება, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა საზოგადოების საკეთილდღეოდ უნდა ისწავლონ ერთობლივი მოქმედება.

**საკვანძო სიტყვები:** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, სისხლის სამართლის პროცესი, თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პროკურატურას შორის.

დღესდღეობით საქმაოდ აქტუალური და პრობლემატიურია წინასწარი გამოძიების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების საკითხი. ის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საერთოდ აეკრძალოთ სისხლის სამართლის საქმის მოხსენება - შეუძლებელია. ეს ეწინააღმდეგება საქვეყნოობის პრინციპს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამასთან, ბრალდებული პირის შესახებ მონაცემების (ხშირად გამოძიების მსვლელობისას) გამჟღავნებამ შეიძლება არსებითად დაარღვიოს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, გაამჟღავნოს კანონით დაცული საიდუმლოება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მომატებული აქტიურობა სისხლის სამართლის სფეროში ხელს უწყობს არა მარტო კანონმდებლობის სრულყოფას, არამედ

თავად სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასაც უწყობს ხელს. საქვეყნობის პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ურთიერთმოქმედების რეგლამენტირებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სისხლის სამართლის პროცესის გაშუქების გაფართოვებასთან ერთად წარმოიშობა ახალი, ხშირად მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში რთულად გადასაწყვეტი პრობლემები,<sup>1</sup> კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთანამშრომლობის საკითხი, ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერევიან სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაში, ცდილობენ თავად მოველინონ საზოგადოებას სამართლიანობის დამცველად და ხშირად წარმატებით ახორციელებენ მას. მაგრამ რა ვუყოთ იმასაც, რომ ხანდახან აყენებენ გამოუსწორებელ ზიანს მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაწყებიდან სასამართლო განაჩენამდე, მოითხოვს მთელი რიგი სამართლებრივი გარანტიების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ჭეშმარიტებას, ხოლო ბეჭდითი სიტყვის ჭეშმარიტება არც თუ ისე დამაჯერებელია.<sup>2</sup>

აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში განსაზღვრულ სარგებლობას მოგვცემს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. “სამუშაო დოკუმენტი 56”, სახელწოდებით “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოების მონაწილეობა სისხლის სამართალწარმოებაში”, გამოცემული კანადის სამართლებრივი კომისიის მიერ, ნათქვამია, რომ საზოგადოების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობა სისხლის სამართალწარმოებაში, საქვეყნობის პრინციპის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მართვა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობას. სახელმწიფოს მოქალაქეებს შეუძლიათ გაიყონ მთავრობასთან ეს პასუხისმგებლობა, თუ თავად მონაწილეობენ სისხლის სამართლის პროცესში და სათანადოდ არიან ინფორმირებულები მის შესახებ. სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება გამოყენებული იქნას ტირანიისათვის. საზოგადოების ინფორმირებულობა სისხლის სამართლის პროცესზე არის გარანტია ამის თავიდან ასაცილებლად.<sup>3</sup>

თითქმის ყველა შემთხვევაში წამოიჭრება გამომძიებლის განკარგულებაში არსებული მონაცემების გამჟღავნების შესაძლებლობისას საქვეყნობის ფარგლების საკითხი, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, ვინაიდან ხშირად პრესაში წარმოდგენილი პუბლიკაციები დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირის მიმართ, გამოირჩევა საბრალდებო ნოტიო, და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით: “ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით”. იგივეს ამბობს საქართველოს სასახლის სამართლიოს საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: “ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ

<sup>1</sup>Бельягин М. М. Закон о печати и вопросы гласности уголовного судопроизводства. // Правоведение, 1991 г. №6. С. 94.

<sup>2</sup> იხ. Курс советского уголовного процесса. Общая часть. /Под редакций А.Д. Бойкова, И.И. Карпеца. М., 1989 г. С. 38.

<sup>3</sup> Public and Media access criminal processes. Working paper =56 of Canada iaw Reform Commission. Ottawa, 1987. P. 5-6.

დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით”. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს აღიარებს საერთაშორისო სამართალიც. ასე, ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ მე-6 მუხლის მე-2 ნაწილში აცხადებს: “ყოველი ექვმიტანილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად”. აღნიშნული დებულება იცავს ყველა ადამიანს იმისგან, რომ სახელმწიფო ორგანოებმა არ ჩათვალონ ისინი დამნაშავეებად სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე.<sup>4</sup>

ხშირად გამომძიებელს უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე უჭირს გადაწყვეტილების მიღება, თუ რა ინფორმაცია და რა ფორმით უნდა მიაწოდოს საზოგადოებას. სხვა მდგომარეობაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან. მათი გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვანია – სრული ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ და ხშირად არად დაგიდევინ არც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და არც იმას, თუ რამდენად სანდოა მათი ცოდნის წყარო.

ექვგარეშეა, რომ გამომძიებელს აქვს უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოვიდეს და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ის იძიებს და ეს არაფრით არ ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, ვინაიდან მისი დასკვნები გამოხატავენ მხოლოდ წინასწარი გამოძიების აზრს, რაც არაფრით არ უტოლდება სასამართლოს განაჩენს. ხშირად გამოითქმება მოსაზრება, რომ ყოვლად დაუშვებელია რაიმე მონაცემის შეტყობინება, რომელიც ლაპარაკობს კონკრეტული პირის ბრალეულობაზე მანამ, სანამ ეს არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. “გამომძიებლები და პროკურორები არ უნდა გამოდიოდნენ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, სტატიებითა და სიტყვებით, რომლებშიც მოცემული იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ კონკრეტულ პირთა ქმედებათა შეფასება. ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები სახელმწიფოსთან არიან გაიგივებულები და მათი შეფასებები საზოგადოების მხრიდან ოფიციალური, საბოლოო დასკვნის სახით აღიქმება.”<sup>5</sup> გამომძიებელს ევალება იყოს ობიექტური საქმის ფაქტიური გარემოებების გადმოცემისას და ხაზი გაუსვას იმას, რომ დასკვნები პირის ბრალეულობის შესახებ, რომელსაც ის აკეთებს, წინასწარია და ასახავს მხოლოდ გამოძიების აზრს. ამასთან, აუცილებელი საჭიროების გარეშე არ უნდა მოხდეს სხვა პირებზე აქცენტის გაკეთება, რომლებიც საქმის მასალების მიხედვით მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში.<sup>6</sup> თავის მხრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ხელი უნდა შეუწყონ და გამოაქვეყნონ გამომძიებლის, პროკურორის მიერ მიწოდებული განცხადებები, ვინაიდან მათ გააჩნიათ კანონიერი უფლება ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას. რუსეთში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტს, როდესაც ერთ-ერთი მხარის წამყვანმა გაზეთებმა უარი უთხრეს პროკურორს სტატიის დაბეჭვდაზე, რომელიც ეხებოდა მძიმე დანაშაულის გამოძიების მიმდინარეობას.<sup>7</sup> ასეთი პრეცედენტები ყოვლად მიუღებელია. საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების

<sup>4</sup>Application 7986/77, Krause vs. Switzerland, Decisions and Reports, Volume 23 (1979), P. 73.

<sup>5</sup> ა. კახნიაშვილი. უდანაშაულობის პრეზუმფცია, ზეწოლა სასამართლოზე და სიტყვის თავისუფლება // ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 1998, №4. გვ.74.

<sup>6</sup> . об. Батищева А., Коных Е., Леви А., Пичкалева Г. Гласность предварительного следствия // Социалистическая законность. №1. 1989 г. С. 61

<sup>7</sup> . Сухарев А. Право прокурора информировать - под контролем?! // Законность, 1996г. №11. С.13-15.

და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როდესაც საზოგადოებას ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციას აწვდის გამოძიების ორგანოს წარმომადგენელი, იზრდება როგორც ინფორმაციის სანდოობის ხარისხი, ისე უდანაშაულობის პრინციპის დაცვის გარანტიები.

ბოლო დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით პროკურორები, გამომძიებლები და ჟურნალისტები ცდილობენ საქმიანი კონტაქტის გაფართოვებას და გამყარებას. მნიშვნელოვნად გაზრდილია ჟურნალისტთა დაინტერესება სამართლებრივი პრობლემებით. არსებითად გაიზარდა პუბლიკაციათა რიცხვი სამართლებრივ თემაზე საზოგადოებრივ კუთვნილებად იქცნენ ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ადრე ტაბუდადებული იყო.

მთლიანობაში ეს ცვლილებები ატარებენ პოზიტიურ ხასიათს. მაგრამ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობები არ გამოიყენება მთლიანად, სამართალდამცავი ორგანოები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ მოქმედებენ კორდინირებულად. ხშირად არ ხდება ასეთი დიალოგის სათანადო შეფასება, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოიყენების დადებითი ასპექტის გაანალიზება, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებაში სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევას. ისევ და ისევ საკმაოდ გავრცელებულია ჟურნალისტებისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლები, როგორც წესი, აპელირებენ სამართალდამცავი ორგანოების დახურულობით, მათ საქმიანობაში საქვეყნოების ელემენტების არასაკმარისობით, მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების სირთულით ან თუნდაც შეუძლებლობით. ისინი არ გრძნობენ რეალურ მხარდაჭერას და დაცვას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, როცა ირღვევა სიტყვის თავისუფლება და ხელი ეშვებათ ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, თავის მხრივ, ედავებიან ჟურნალისტებს, რომ ისინი სათანადოდ და კომპეტენტურად არ აშუქებენ სამართლებრივ საკითხებს. აღნიშნავენ, რომ სენსაციის დევნაში მახინჯდება მნიშვნელოვანი დეტალები და საქმის ფაქტიური გარემოებები, იძაბება ურთიერთობა, ადგილი აქვს უხეშ იურიდიულ შეცდომებს.<sup>8</sup> ყოველივე ეს იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის უნდობლობას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით სამართალდამცავი ორგანოები, ჩვეულებრივ, წყვეტენ ცალკეულ დარგობრივ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებასთან (მტკიცებულებათა მოძიების, დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება), პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებასთან.

სამართალდამცავი ორგანოების ინტერესის სფეროს მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული კანონდარღვევის ფაქტები, განსაკუთრებით ქმედებები, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს, ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ მასალებზე დაყრდნობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება: მოწმდება აღნიშნული ინფორმაცია და დადასტურების შემთხვევაში იწყება წინასწარი გამოძიება.

<sup>8</sup>. Кроз М. Судебная власть в зеркале прессы // Российская юстиция, 1998г. №10. С.52.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად: “წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში”. ფაქტები, რომლებიც გადმოცემულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, წარმოადგენენ საზოგადოებრივ კუთვნილებას და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეტყობინება უშუალოდ არ არის მიწოდებული გამომძიებლისათვის, პროკურორისათვის, ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან განიხილონ და შეამოწმონ მათში ასახული მონაცემები. გამოქვეყნების მომენტიდან წერილი, შენიშვნა, პუბლიკაცია აღარ არის მხოლოდ მისი ავტორის ნების გამოხატულება. იგი იძენს საქვეყნო ხასიათს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კორესპოდენციის ავტორის სურვილს აცნობოს თუ არ აცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს მისთვის ცნობილი ფაქტი.

დღევანდელი ქართული რეალობის ფაქტად იქცა ის, რომ პროკურატურის ორგანოები, ისევე როგორც სასამართლოები, თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას გრძნობენ მუდმივ ზეწოლას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან. პრესაში ჩნდება პუბლიკაციები იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა გამოძიება დასრულებული არ არის და გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოტანილი. სამწუხაროა, რომ ეს ხშირად ხდება დაინტერესებული პირის შეკვეთის შესრულების მიზნით. ასეთი შეკვეთის მიმცემ პირებს არ სურთ შეიგნონ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიზანია საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და არა მიკერძოებული აზრის დაცვა. ამას ბრძოლა უნდა გამოუცხადონ თავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ვინაიდან ამ დროს მათი ავტორიტეტი ზარალდება, რადგან საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ყალიბდება უნდობლობა. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა გამოცემათა რიცხვის ზრდა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ინტერესებით, იწვევს ერთი და იგივე მოვლენების, ფაქტების გაშუქებისას სხვადასხვა მიდგომას. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის ნებისმიერი ფორმა მიმდინარეობს საქვეყნოდ და განასკუთრებული ძალისხმევა არ არის საჭირო იმისათვის, რომ თვალყური ვადევნოთ, თუ რამდენად შეესაბამება ინფორმაცია კანონის მოთხოვნას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც საქვეყნოდ ხდიან პრაქტიკულად ნებისმიერ თემას და ფაქტს, არცთუ იშვიათად ერევიან სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში და უქმნიან პრობლემებს არა მარტო გამომძიებელს, არამედ აყენებენ მნიშვნელოვან მორალურ ზიანს იმ ადამიანებს, რომელთა გვარები იბეჭდება საგაზეთო სვეტში გამოძიების პროცესში მყოფი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და რომლებსაც სასამართლოს განაჩენამდე მიეწერებათ ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება. ამით, რა თქმა უნდა, უხეშად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

საქვეყნობა მოიცავს კიდევ ერთ ასპექტს - საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას. პროკურატურის საქმიანობის ცალკეული ასპექტის კრიტიკა უნდა იქნას გამოყენებული მათი საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

სამართალდამცავი ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტაქტის ძირითადი ფორმაა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. ტელევიზიის, რადიოს, პერიოდული პრესის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, ინტერესდებიან სამართალდამცავ ორგანოებში არსებული ინფორმაციით, რომელიც უკავშირდება ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსვლელობას. სამართალდამცავი ორგანოების სამსახურებრივი მოვალეობაა მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ქვეყანაში კანონიერების მდგომარეობაზე. ამავდროულად, სამართალდამცავი

ორგანოები ვალდებული არიან კონტროლი გაუწიონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობას, რათა მათი მხრიდან მუშაობის პროცესში არ იქნას დარღვეული მოქმედი კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ცრუ ცნობების ან იმ მონაცემების გამოქვეყნებას, გადმოცემას, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ან კანონით დაცულ სხვა სახის საიდუმლოებას, სამართალდამცავმა ორგანოებმა რეაგირება უნდა მოახდინონ კანონის თანახმად.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი და გამოძიების მიუკერძოებლობა არის ის ორი პრინციპი, რომლითაც უნდა განისაზღვროს გამოძიების მსვლელობას. ჟურნალისტის ამოცანაა საქმის ყველა სტადიის გადმოცემა, ფაქტებიდან კანონიერ შეფასებებზე გადასვლა და ჟურნალისტური (დამოუკიდებელი) გამოძიებისას მან ამით უნდა იხელმძღვანელოს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ პრესა ამჟღავნებს გამოძიების მასალებს, ხოლო ჟურნალისტები - იმისი გამო, რომ საჯარო ინფორმაციის მიღებისათვის მათ უწევთ სხვადასხვა საშუალებების გამოყენება. შედეგად ორივე მხარე ერთმანეთს აკისრებს პასუხისმგებლობას.

ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი იმისათვის, რომ საგაზეთო პუბლიკაციებში და სატელევიზიო ეთერში თავიდან იქნეს აცილებული იურიდიული შეცდომები და დასკვნების არაკომპეტენტურობა, არის სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათის მუშაობა, რომელიც მოიცავდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლებისათვის სამართლებრივი საკითხების სწავლებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უნარი შესწევთ აღმოუჩინონ დახმარება სამართალდამცავ ორგანოებს სამართლებრივი ცოდნის გავრცელებაში, რათა გამყარდეს კანონის უზენაესობის პრინციპი საზოგადოებაში.

აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმა ბოლომდე გააცნობიერონ თავიანთი მუშაობის მნიშვნელობა და არ დაუშვან სენსაციური მასალების დევნაში ტერორისტებისათვის სატელევიზიო ეთერის დათმობა, ვინაიდან ამას შეუძლია საფრთხის ქვეშ დააყენოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების და მოქალაქეების სიცოცხლე, ხელი შეუშალოს ასეთი აქტების აღკვეთას და დამნაშავეთა დაპატიმრებას.

მონაცემების არაოპერატიულად მიწოდება, რომლებსაც გააჩნია საზოგადოებრივი ინტერესი და ხშირად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ხელოვნური დახურვა პრესისა და საზოგადოებისათვის არის იმის შედეგი, რომ მოსახლეობა იღებს დამახინჯებულ და არასაკმარისად კვალიფიციურ ინფორმაციას საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებზე, რომლებიც ეხება სამართალდარღვევას და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას.

ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი როლის თამაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაში შეუძლია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების შეხვედრას წამყვანი პერიოდული გამოცემების რედაქციებთან, საინფორმაციო სააგენტოებთან და ჟურნალისტებთან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთმოქმედების ფორმები და მეთოდები დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ინსტიტუტებზე, არამედ საკანონმდებლო ნებაზეც. ამ მხრივ ნამდვილად მნიშვნელოვანის საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, რომელმაც ფართო უფლებები მიანიჭა ჟურნალისტებს ინფორმაციის მოძიების, მოღების, შექმნის, შენახვის, დამუშავების და გავრცელების საკითხში.

თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა საზოგადოებაში, მაშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და თავიანთი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, დაიცვან ის მოთხოვნები, რომელსაც უყენებს ჟურნალისტს საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” და არ უნდა დაივიწყონ ის პრინციპები, ნორმები, რომლებიც ქმნიან პროფესიული ჟურნალისტიკის ეთიკას და მის დაუწერელ კოდექსს, რომელიც თავისი შინაარსით ახლოსაა ჰიპოკრატისეულ ცნებასთან «არ ავნო». მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა ააგონ ურთიერთობის ისეთი სისტემა, რომელიც გამომდინარეობს შემდეგი კრიტერიუმებისაგან: ჩვენ არ გვაქვს უფლება ვასწავლოთ ერთმანეთს, მაგრამ გვაქვს შესანიშნავი შესაძლებლობა ვისწავლოთ ერთმანეთისგან.<sup>9</sup>

ამასთან, მიუხედავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის დიდი მნიშვნელობისა, განმსაზღვრელი მაინც თავად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა და ამის გარეშე არავითარი ძალისხმევა არ გამოიწვევს საზოგადოების თვალში ნდობის მოპოვებას.

---

სტატია მიღებულია: 2005-04-28

---

<sup>9</sup> . Бессарабов И.Г. Российские СМИ и прокуратура: противостояние или сотрудничество // журнал российского права. №7. 2001 г. С. 73.